PLITONIT

პროფესიონალად ყოფნა ადვილია

Plitonit Deutsche Qualität

PLITONIT სუპერსტიაჟკა - წყლის სუპერ შემამცირებელი დანამატი ბეტონებისა და სამშენებლო ხსნარებისთვის

პროდუქტი გამოიყენება როგორც მაპლასტიფიცირებელი და მასტაბილიზებელი (ამცირებს ხსნარის განშრევებას) დანამატი იატაკის მოჭიმვის დამოუკიდებელი წარმოებისას, მათ შორის "თბილი იატაკის" სისტემაში საცხოვრებელ, საოფისე და სამრეწველო-სასაწყობე შენობა-ნაგებობებში, ასევე გარე სამუშაოებში. გამოიყენება, როგორც დანამატი ქარხნული წესით დამზადებული ქვიშაბეტონისთვის, ასევე ქვიშისა და ცემენტის შერევისას უშუალოდ სამშენებლო ობიექტზე. ზრდის მომზადებული ხსნარის ძვრადობასა და აადვილებს დაგებას, ასევე აადვილებს ახლად დაგებული იატაკის მოჭიმვის გასწორებას, ამცირებს შრომატევადობასა და სამუშაოს შესრულების ვადებს. გააჩნია წყლის შემამცირებელი ეფექტი, ზრდის გამაგრებული ხსნარის მარკის სიმტკიცეს +15%-დან +25%-მდე და ამცირებს ბზარწარმოქმნის, ჩაჯდომისა და იატაკის მოჭიმვის ზედა შრის განუმტკიცებლობის რისკს. ზრდის მომზადებული ხსნარის სიცოცხლისუნარიანობას, ახანგრძლივებს ჩაჯდომის შესაძლებლობას და ამცირებს მასალის დაკარგვის რისკს. ზრდის გამაგრებული იატაკის მოჭიმვის სიმკვრივეს, რაც უზრუნველყოფს სტრუქტურის უფრო კარგ ერთგვაროვნებას და ამით ზრდის „თბილი იატაკის“ სისტემის თბოგაცემას.

დაფასოება — პლასტმასის კანისტრი 3 ლ, 10 ლ.

- იატაკის მოჭიმვის პლასტიფიკატორი - ზრდის ხსნარის ნარევის პლასტიკურობას, რაც უზრუნველყოფს გასწორების სიმარტივეს
- ზრდის სიმტკიცეს +25%-მდე
- თვითნაკეთი ნარევებისთვისა და ქარხნული წარმოების არმოდიფიცირებული ქვიშა ცემენტის ნაზავებისთვის
- კონცენტრატი

მასალის ხარჯი

საჭირო ეფექტი	დანამატის ხარჯი, ლიტრები 100 კგ მშრალ ნივთიერებაზე**		
	ცემენტის	ქვიშა ცემენტის ნაზავი M200	ქვიშა ცემენტის ნაზავი M300
საბაზისო პლასტიფიკაცია, ადუღაბების წყლის 13%-ით შემცირება*	0,5 ლ (500 მლ)	0,11 – 0,15 ლ (110-150 მლ)	0,13 - 0,18 ლ (140-180 მლ)
გაზრდილი პლასტიფიკაცია, ადუღაბების წყლის 20%-ით შემცირება*	0,83 ლ (830 მლ)	0,19 – 0,23 ლ (180-240 მლ)	0,23 – 0,29 ლ (230-290 მლ)
სუპერპლასტიფიკაცია იატაკის მოჭიმვის თვითშემჭიდროების ეფექტით, ადუღაბების წყლის 28%-ით შემცირება*	1,67 ლ (1670 მლ)	0,37 - 0,48 ლ (370-480 მლ)	0,47 - 0,58 ლ (470-580 მლ)

* ადუღაბების წყლის შემცირება არამოდიფიცირებული ნარევის მწარმოებლის მიერ თავდაპირველად მითითებულ მნიშვნელობასთან შედარებით.

** მზა ქვიშა ცემენტის ნაზავზე დანამატის ხარჯის გაანგარიშებისას უნდა მივყვეთ წესს: თუ ცნობილია, რომ ქვიშა ცემენტის ნაზავის წარმოებაში გამოყენებულია 500 მარკის ცემენტი, დანამატი უნდა იქნას გამოყენებული მინიმალური მნიშვნელობის მიხედვით, თუ გამოყენებულია 400 მარკის ცემენტი - მაქსიმალური მნიშვნელობის მიხედვით. თუ გამოყენებული ცემენტის მარკის შესახებ არ არსებობს სარწმუნო მონაცემები, ოპტიმალური დოზირების დასადგენად სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია საცდელი ანარევის ჩატარება.

გამოყენების წესი

დანამატი უნდა იქნას გამოყენებული ადუღაბების წყალთან ერთად ან ხსნარის ნარევის ყველა კომპონენტის დოზირების შემდეგ, ამასთანავე, აუცილებელია დანამატის მაპლასტიფიცირებელი ეფექტის გათვალისწინება და წყლის რაოდენობის წინასწარ შემცირება ხარჯვის ცხრილში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად. დანამატის უშუალოდ მშრალ ნარევში დამატება აკრძალულია.

არ არის რეკომენდებული ქარხნული წარმოების მოდიფიცირებულ მშრალ სამშენებლო ნარევებში გამოყენება.

ხსნარის ნარევის რეცეპტის მაგალითი "თბილი იატაკის" სისტემის მქონე მაღალი ხარისხის იატაკის მოჭმივის უფრო ადვილად დაგებისთვის

ქვიშაბეტონი M300	50 კგ
წყალი	5,4 ლ
დანამატი PLITONIT სუპერსტიაჟკა	0,235 - 0,29 ლ (235-290 მლ)

ყურადღება! მინერალური ნედლეულის ან სხვადასხვა მწარმოებლის მიერ მომზადებული, მოდიფიცირებული ნარევების მახასიათებლები შეიძლება, განსხვავდებოდეს, ამიტომ გირჩევთ, სამუშაოს დაწყებამდე ჩაატაროთ საცდელი ანრევი სუპერპლასტიფიკატორის მინიმალური დოზით და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირება შეიტანოთ ნარევის კონსისტენციაში დანამატის რაოდენობის გაზრდით.

ტექნიკური მახასიათებლები

ფერი	მუქი ყავისფერი
სიმკვრივე, გ/სმ^3	1,17-1,19
მშრალი ნივთიერების მასური წილი, %	37-41
ხსნარის PH	6-10

უსაფრთხოების ზომები

დანამატი მიეკუთვნება საშიშროების მე-4 კლასს (მცირე საშიშროების მქონე ნივთიერებები) სახელმწიფო სტანდარტის 12.1.007-ის მიხედვით. სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ხელთათმანები, დამცავი სათვალეები, სასუნთქი ორგანოების დამცავი საშუალებები. მოერიდეთ დანამატის კანზე და თვალებში მოხვედრას. თვალში მოხვედრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ამოიბანეთ წყლის დიდი რაოდენობით. მოარიდეთ ბავშვებს!

ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობები

ტრანსპორტირება და შენახვა უნდა მოხდეს არანაკლებ +5°C და არაუმეტეს +40°C ტემპერატურაზე ჰერმეტულად დახურულ ტარაში, მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედებისგან დაცვით.

შემადგენლობა

წყალი, სულფონირებული პოლიკონდენსატების ნარევი, დამხმარე კომპონენტები, კონსერვანტი.

მწარმოებლის გარანტია

მწარმოებელი იძლევა გარანტიას, რომ დანამატი შეესაბამება ტექნიკური პირობების 20.59.57-015-51552155-2020-ის მოთხოვნებს, თუ მომხმარებელი დაიცავს ტრანსპორტირების, შენახვის პირობებსა და ამ ინსტრუქციის მითითებებს. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი მასალასთან მუშაობის ტექნოლოგიის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე მისი გამოყენებისთვის იმ მიზნებსა და პირობებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მიცემული ინსტრუქციით. მწარმოებლის ტარაში შენახვის საგარანტიო ვადა - 24 თვე დამზადების დღიდან.

ლოგისტიკური ინფორმაცია 3 ლ-იანი კასრისთვის

ინდივიდუალური შტრიხკოდი 4607013045491 კანისტრების რაოდენობა პალეტზე – 144 ც.

ლოგისტიკური ინფორმაცია 10 ლ-იანი კასრისთვის

ინდივიდუალური შტრიხკოდი 4607013042933 კანისტრების რაოდენობა პალეტზე – 40 ც.